

დანართი 1.

დამტკიცებულია
ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის
დირექტორის ბრძანებით
13.01.2016
ცვლილებები შეტანილია 18.05.2018

ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის პროფესიული პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

შპს „ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის“ (შემდგომში სკოლა) პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში წესი) არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებასა და შეწყვეტას, მობილობას, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესებს, არაფორმალური განათლების წესს, მობილობის შედეგად სკოლის მიერ საგნების აღიარებას, აღიარებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობას, სახელშეკრულებო პირობებს და სხვ.

სასწავლო რეგულაციები ეფუძნება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებს.

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება

- 1.1 სკოლა ახორციელებს III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;
- 1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას ახორციელებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწონებული (დადებითი დასკვნა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა სკოლის დირექტორს დასამატკიცებლად.

- 1.3 პროფესიული განათლების მიღების შემდეგ - სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის დარგის პროფესიული კვალიფიკაცია;
- 1.4 პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი;
- 1.5 კონკრეტული პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით;
- 1.6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გაანგარიშებული უნდა იქნეს კრედიტებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება პროფესიულ პროგრამებზე

2.1. პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად.

2.2. პროფესიული განათლების მიღების უფლების რეალიზების მიზნით სკოლა ვალდებულია შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობით გამართოს კონსულტაციები პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ.

2.3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრულია წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები, განცხადებების მიღებისა და დასრულების ვადები. ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ, სკოლის ვებ-გვერდზე.

2.4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

2.5 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მსურველის მიერ განცხადების შევსების შემდეგ, პროფესიულ სტუდენტთა რეესტრზე პასუხისმგებელი პირის მიერ ხდება რეესტრში აპლიკანტის რეგისტრანტად დარეგისტრირება, ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდეგ კი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება.

2.6 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეცვლის, შეჩერების და შეწყვეტის შესახებ ცვლილება აუცილებლად უნდა იქნეს ასახული პროფესიული სტუდენტთა რეესტრში.

2.7 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა დადგინდეს ვადაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტების ნუსხა:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგინდეს მოთხოვნებს;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;

2.8 სკოლის დირექტორის ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის განსაზღვრულ ვადებში წარმოდგენის საფუძველზე გამოიცემა დირექტორის მიერ სამართლებრივი აქტი ჩარიცხვაზე, აბიტურიენტთან (არასრულწლოვანის შემთხვევაში, კანონიერ მშობლთან, ან კანონიერ წარმომადგენელთან) ფორმდება ხელშეკრულება და მონაცემები შეიყვანება პროფესიულ სტუდენტთა ბაზაში.

2.10 ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტსა და სკოლას შორის იდება ერთხელ და ის მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში.

მუხლი 3. სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება

3.1 პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება მოიცავს:

ა) ხელშეკრულების მხარეებს (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში სავალდებულოა კანონიერი მშობლის, ან მეურვის დასტური);

ბ) მხარეთა რეკვიზიტებს;

გ) სწავლის საფასურს;

დ) მხარეთა უფლება-მოვალეობებს;

ე) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

ვ) ხელშეკრულების შეწყვეტის ვადები;

ზ) მხარეთა ხელმოწერას.

მუხლი 4. სასწავლო პროცესის ორგანიზება

4.1 სკოლაში პროფესიულ პროგრამებზე სწავლა იწყება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების შესაბამისად;

4.2 პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება, პედსაბჭოს მიერ განხილული და დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

4.3 სწავლება წარიმართება სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება პროფესიულ პროგრამებზე:

5.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება:

ა) პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობელი/მისი კანონიერი წარმომადგენელი) უფლებამოსილია მიმართოს სკოლას განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და სტუდენტის სხვა უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლების თაობაზე არაუმეტეს 1 სასწავლო წლისა;

ბ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- პირადი განცხადება;
- ავადმყოფობა;
- უცხო ქვეყანაში სწავლა;
- ოჯახური მდგომარეობა;
- სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;
- ფინანსური დავალიანება (ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში);
- მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

5.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობის შესაბამისად. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება სკოლის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა:

6.1 პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები რაც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

6.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია, ან შეცვლილია მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.4 პროფესიული სტუდენტის აღდგენის თაობაზე სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს;

6.5 სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, საიდანაც შეუჩერდა სტატუსი.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

7.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:

- პირადი განცხადება;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სასწავლო პროცესში დაუბრუნებლობა;

7.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით;

7.3 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. პროფესიულ სტუდენტთა მობილობა

8.1 სკოლის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს მობილობისათვის თავისუფალი ადგილების რაოდენობას.

8.2 მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა იმ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ამა თუ იმ ავტორიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

8.3 დასაშვებია შიდა მობილობით სკოლის სტუდენტებისათვის სპეციალობიდან-სპეციალობაზე გადასვლა სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში;

8.4 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის მსურველმა პირმა სკოლის მიერ მობილობის დროს წარსადგენ სუბსათან ერთად უნდა წარმოადგინოს სასწავლო ბარათის ბეჭდით დამოწმებული ასლი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს სტუდენტის მიერ გავლილი საგნების შესაბამისობას სკოლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და ახდენს შესაბამისი კრედიტების აღიარებას. სტუდენტისათვის შეთავაზებული პირობები წინასწარ ეცნობება მობილობის მსურველ პირს.

8.5 იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის მოცულობა არის ერთსემესტრიანი და პროფესიულ სტუდენტს ამ პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ აქვს სასწავლო კურსები ათვისებული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს მობილობის მსურველი სტუდენტის შესაბამისობას სკოლაში მოქმედ პროფესიულ პროგრამასთან, აცნობს მას ასათვისებელ სასწავლო კურსების ნუსხას, რის შემდეგაც სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

8.6 მობილობის ფარგლებში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მსურველი სტუდენტი განცხადებით მიმართავს სკოლის დირექტორს შესაბამისი საბუთების ასლის მოთხოვნით, როგორც სხვა პროფესიულ სასწავლებელში გადასვლის მსურველი.

8.7 პროფესიული სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს მობილობის უფლებას, ვალდებულია სკოლას წარუდგინოს მისი პირადი საქმე:

- სასწავლო ბარათი
- პირადი განცხადება
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;

მუხლი 9. მობილობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა

9.1 სკოლა ახდენს მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას და მობილობის მსურველის თანხმობის შემთხვევაში, განსაზღვრავს, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას;

9.2 მობილობის დროს სკოლა ახდენს მობილობის მსურველის მიერ წინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარებას, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება შესაბამისი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

9.3 აღიარებას ექვემდებარება პროფესიული დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განხორციელდა ჩარიცხვა და სწავლება;

9.4 კრედიტების აღიარებისათვის მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, მის მიერ გავლილი კრედიტების თაობაზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები/მოდულები.

9.5 აღიარება ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

10.1 სკოლაში შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება. ასეთ შემთხვევაში დაწესებულება იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისება მიღევად რეჟიმში და შემდეგ მოახდინოს მისი შეცვლა ან გაუქმება შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით.

10.2 თუ სკოლაში არსებობს გასაუქმებელი ან შესაცვლელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე პროფესია, სკოლა ახდენს მის შეთავაზებას განსხვავებული სასწავლო კურსების სწავლის საფასურისგან განთავისუფლების პირობით;

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ზემოთხსენებული გარემოებები არ არსებობს, სკოლა იღებს ვალდებულებას მოიძიოს და ითანამშრომლოს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს იგივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, აღნიშნულის შესახებ მიაწვდის პროფესიულ სტუდენტს დეტალურ ინფორმაციას და დაეხმაროს მობილობის პროცესის განხორციელებაში.

მუხლი 11. არაფორმალური პროფესიული განათლება

11.1 არაფორმალურ პროფესიულ განათლებად მიიჩნევა – პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად, არაფორმალურ გარემოში.

11.2. არაფორმალური განათლება და მისი აღიარება ემყარება ნებაყოფლობითობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და მიმართულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისაკენ.

11.3 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული წესის და ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 12. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ზოგადი პირობები

12.1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება III საფეხურებზე დაიშვება ყველა პროფესიისათვის. გარდა რეგლირებადი პროფესიებისა

12.2 სკოლა უფლებამოსილია პირის მიერ სათანადო განცხადების საფუძველზე მოახდინოს მის მიერ არაფორმალურ გარემოში შეძენილი ცოდნის/პრაქტიკული-უნარ-ჩვევების შეფასება.

12.3 არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) განმცხადებლის სახელსა და გვარს;
- ბ) დაბადების თარიღს;
- გ) პირად ნომერს;

- დ) საკონტაქტო ინფორმაციას;
- ე) არაფორმალურ გარემოში მიღებული განათლების დეტალურ აღწერას;
- ვ) მოთხოვნას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ
- ზ) განმცხადებლის პირად ხელმოწერასა და თარიღს;
- თ) მითითებას თანდართული დოკუმენტაციის შესახებ.

12.4 თუკი განმცხადებელი არასრულწლოვანია, მაშინ განცხადებას მის ნაცვლად ადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი. განცხადებაში წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტში მითითებული ინფორმაციის გარდა დამატებით მიეთითება ინფორმაცია, კანონიერი წარმომადგენლის შესახებ.

12.5 არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე განცხადებას თან უნდა ახლდეს:

- ა) განმცხადებლის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (თუკი განმცხადებელი არასრულწლოვანია, მაშინ დამატებით მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი);
- ბ) პროფესიული სტანდარტის შესაბამისად სრული ზოგადი განათლების ან საბაზო განათლების დამდასტურებელი დოკუმენტი;
- გ) არაფორმალური გარემოში მიღებული განათლების რაიმე სახით დამდასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, მოწმობა და ა.შ.) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

12.6 არაფორმალური პროფესიული განათლების ამღიარებელი კომისია იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

12.7 არაფორმალური პროფესიული განათლების ამღიარებელი კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

12.8 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის სხდომაზე, მდივანი ქმნის კრების ოქმს, სადაც დეტალურად აისახება განსახილველი საკითხის შესახებ ინფორმაცია, გამოთქმული მოსაზრებები და ა.შ. ოქმი დგება კომისიის სხდომის ჩატარების დღესვე და ხელის მოსაწერად წარედგინება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს.

12.9 არაფორმალურ გარემოში პირის მიერ მიღებული ცოდნის ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

12.10 თითოეული კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემით გათვალისწინებულია 5 სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასება.

12.11 დადებითი შეფასებებია:

- ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

12.12 უარყოფითი შეფასებებია

- ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%,
- ბ) (F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 0-40%

12.13 არაფორმალური პროგრამის კომპონენტი აღიარებულად ჩაითვლება შესაბამის კომპონენტში ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღწევის შედეგად.

12.14 „FX“ შეფასების მიღების შემთხვევაში არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

12.15 „F“ შეფასების მიღების შემთხვევაში შესაბამისი კომპონენტი არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს არ უღიარდება.

12.16 არაფორმალური განათლების ამღიარებელი კომისიის მიერ მიღებული და რეგისტრირებული კრების ოქმი გადაეცემა სკოლის დირექტორს.

12.17 გადაწყვეტილება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება სკოლის დირექტორის ბრძანებით, სადაც დანართის სახით მიეთითება:

- სკოლის სახელწოდება;
- განმცხადებლის ვინაობა;
- გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
- არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში – მიეთითება პროფესიული განათლების კონკრეტული საფეხურის ან მისი ნაწილის შესახებ, რომელსაც შეესაბამება განმცხადებლის მიერ არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნა;

- არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მიეთითება შესაბამის დასაბუთება, რაც გახდა უარის თქმის საფუძველი;
- არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის თითოეული კომპონენტების შეფასებებს;
- გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

12.18 არაფორმალური განათლების აღიარება/არაღიარების თაობაზე დირექტორის გადაწყვეტილება წარედგინება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

12.19 არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის განხორციელების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. საიდანაც 10 (ათი) კალენდარული დღე ეთმობა არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე სკოლის მიერ, შიდა სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზს, ხოლო 20 (ოცი) დღე დაინტერესებული პირის მიერ არაფორმალურ გარემოში მიღებული განათლების თითოეული კომპონენტის დადგენას, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებას.

12.20 იმ შემთხვევაში, თუ არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე წარმოდგენილ განცხადებას სკოლაში შეტანის შემდეგ დაუდგინდა ხარვეზი, მაშინ დრო ხარვეზის დადგენიდან, მის აღმოფხვრამდე არ ჩაითვლება არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის საერთო ვადაში.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

13.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

13.2. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი მოდულით.

13.3. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

- **განმავითარებელი შეფასება** შესაძლოა განხორციელდეს

ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

- **განმსაზღვრელი შეფასება** ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

13.4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

13.5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

მუხლი 14. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

14.1 პროფესიული განათლების თითოეული საფეხურისათვის სტანდარტითა და სკოლის პროფესიული პროგრამით დადგენილი კრედიტების დაგროვების შემდეგ სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;

14.2 ზემოაღნიშნულის შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი;

14.3 გასაცემი დიპლომის ფორმა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N126/ნ (22.07.2011).

მუხლი 15. პროფესიული მასწავლებელი

15.1 პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ასევე ძალადაკარგულად გამოცხადება, შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.